



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 29 სექტემბერი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: „ლიბერალური აკადემია თბილისი“- ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
2. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველო
4. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
5. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
6. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
7. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
8. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს ეროვნული პლატფორმის მაღალი დონის კონფერენციაზე თემატური სამუშაო ჯგუფის სესიის განხილვა;
- პროექტის: „საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდა“ მიმდინარეობის განხილვა - ლაშა ტულუში, ლიბერალური აკადემია - თბილისი
- სხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფმა განიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და მთავრობის ერთობლივი მაღალი დონის კონფერენციის, მესამე სამუშაო ჯგუფის სესიაზე წარსადგენი საკითხები.

ჯგუფი შეთანხმდა, რომ არსებული გამოწვევების ფონზე, რაც უკავშირდება ბუნებრივ კატასტროფებს, პანელის თემად, ენერგეტიკულ საკითხებთან ერთად განისაზღვროს ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები, სადაც გარემოს საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები ერთიანად მოამზადებენ პრეზენტაციასა და ორგვერდიან რეზიუმეს და წინასწარ შეთანხმებული მომხსენებელი კონფერენციაზე წარადგენს ჯგუფის პოზიციას. ამასთანავე, პანელის ერთი ნაწილი დაეთმობა ენერგეტიკას, რომელიც ასევე კავშირში იქნება გარემოს დაცვის საკითხებთან. შესაბამისად, პლატფორმის სახელით წარსდგება ორი მომხსენებელი, ერთი გარემოს დაცვის, ხოლო მეორე ენერგეტიკის სფეროდან. საქართველოს მთავრობიდან მოპასუხებად კი განისაზღვრა ბატონი სოლომონ პავლიაშვილი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და ენერგეტიკის მინისტრი ან მინისტრის პირველი მოადგილე. ჯგუფში ასევე გაჟღერდა წინადადება, რომ მნიშვნელოვანია დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად ასევე მოწვეულნი იქნენ საკითხთან შემხებლობაში მყოფი სხვადასხვა სამინისტროებისა და პარლამენტის წარმომადგენლები, მათ შორის ბ.ნ-ი კახა კუჭავა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე და სხვა.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენელმა, ბატონმა რეზო გეთიაშვილმა წარადგინა ინიციატივა, უახლოესი 2 კვირის მანძილზე ჯგუფის წევრები Google ჯგუფის მეშვეობით, წინასწარ შეთანხმდნენ შეხვედრაზე, სადაც ორგანიზაციები წარადგენენ კონკრეტულ საკითხებს და მოემზადებიან კონფერენციისთვის.

ლიბერალური აკადემია თბილისის დირექტორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა წარადგინა წინადადება, ბოლო დროს საქართველოში გაჩენილი ხანძრების საპასუხოდ, პლატფორმამ დაგეგმოს აქცია, რომლის ფარგლებშიც პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები დარგავენ ხეებს. მესამე სამუშაო ჯგუფმა აიღო ვალდებულება უხელმძღვანელოს აქციის ორგანიზებას. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს წარმომადგენელმა ქ.ნ ნინო ჩხოზაძემ, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან ერთად, აიღო ინიციატივა იზრუნოს ტექნიკური საკითხების მოგვარებაზე.

ასევე, ჯგუფში უნდა მომზადდეს აქციაზე მოწვევის ტექსტი, რომელიც გავრცელდება მთლიან პლატფორმაში.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა მოისმინა ლიბერალური აკადემია თბილისის დირექტორის პრეზენტაცია, პროექტის: „საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდა“ მიმდინარეობის შესახებ.

შეხვედრაზე ბატონმა ლაშა ტულუშმა ასევე წარადგინა მოკლე ანგარიში საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში მისი ჩართულობის შესახებ, რამდენადაც აღნიშნულ პროცესებში იგი მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული პლატფორმის სახელით.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.